1. №15
56
საქართველოს სახელმწიფო … ტფილისი

№ 30
თებერვლის 6, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 30
თებერვლის 6, ხუთშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თებერვლიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ღირს 9 მანეთი და 50 კაპ.

კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი ოჯახობით ამით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ თავის დედის

ნინო იაგორის ასულის ყიფიანის

ერთის წლის გარდაცვალების პანაშვიდი იქნება დღეს, 6-ს თებერვალს, ქვაშვეთის წმ: გიორგის ეკლესიაში, დილის 12 საათზედ. (1—6—1)

ს.-პეტერბურგის კომპანია
15 „ნადეჟდა“
ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად
დაარსებულია 1847 წელს.
ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრეს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრეს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩააბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შესანახავ საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიის აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტა შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო აგენტნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.
(120—6.—83)

№ 34. ტელეფონი № 617.
ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 2 თებერვალს 1903 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა
I
მიკუნჭული ბედნიერება
კომედია 3 მოქ. გ. ზუდერმანისა, თარგ. გ. რ—ისა.
II
დუელი
ვოდევ. 1 მოქმედ. გადმოკ. ნ. გალუსტოვის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ბ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რიონელი, როსტომაშვილი. ბ-ნნი: დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. მესხი და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად ვ. გუნიას საბენეფისოდ ორი ახალი პიესები: „დარღვეული კერა“ და „სიძე სიმამრი“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

მსურს ავიღო იჯარით სარწყავი მამული ათიდგან ოც დესიატინამდე, რკინის გზის სადგურიდგან არა უშორეს 1—2 ვერსის მანძილისა, ან კასპში, ან გრაკალში, ან რომელსამე სხვა სადგურზედ. სასურველია, მამულში იყოს სახლი, სამიოდე ოთახი, აგრეთვე ბაღი.

მიჰმართეთ აგრონომს **ზომმერს.** კრასნოგორსკის ქუჩა, № 11, საკუთარი სახლი. (2—2)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.
ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი
ვ. ღამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ევროპიელი ქალი
ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის
ენის მცოდნე, იძლევა
გაკვეთილებს
მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მუღინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საშ: რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი--კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. ზ. ბარხუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—- საათ.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ბრ. ვ. სოზოლევსკი—ლოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.
საღამოთი:
ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.
ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბაჩინა 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. $7\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.
ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი

✦ დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა; წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა, სამ მოქმედებიანი კომედია ზუდერმანისა „მიკუნჭული ბედნიერება“, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

✦ პარასკევს, 7 თებერვალს, დანიშნულია ქალაქის გამგეობისა, ქალაქის საფინანსო კომისიისა და პურზედა და ხორცზედ ნიხრის დამდგენელ კომისიის წევრთა შეერთებული კრება; ამ კრებაზედ განხილულ იქმნება ბ-ნ კოკჩაევის მიხსენება ქანდაროვის მექანიკურ პურის საცხობის შეძენის შესახებ.

✦ ქალაქის თავს დაუწყვია შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რათა მან ნება დართოს ქალაქის მესამე სესხის ქაღალდების დახურდავებისა-გასაღებისა, ხოლო იმ პირობით-კი, რომ გაზეთების საშუალებით ეუწყოს ყველას, რომ ძველის ფურცლები მიიღება დასახურდავებლად მხოლოდ პირველ მაისამდინ; შემდეგ ფურცლები ძალას ჰკარგავენ და ქალაქის გამგეობა პასუხს არ აგებსო.

✦ კავკასიის სააბრეშუმო სადგურომა დიდი ხანია ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ სადგურთან ფუტკრის მოშენებას ხელს უშლის მაშინით გაკეთებულ ფიჭის უქონლობა ფუტკრისათვის, რომ ფუტკარს შეეძლოს მზად გაკეთებულ ფიჭში თაფლის მომზადება, უფიჭობა-კი ფუტკარს დროს აკარგვინებს თაფლის დასამზადებლადაო და თაფლს ზოგიერთი თვისებაც ეკარგებაო; ამიტომ სადგურის ფუტკრის დამზადებული თაფლი ვერ უდრის ღირსებით საზღვარ-გარეთის თაფლსაო, თუმცა აქაური თაფლი ბუნებრივ თვისებით არ ჩამოუვარდებოდა და კონკურენციასაც გაუწევდა სამზღავრ-გარეთისასაო; ამის გამო სადგურის გამგეობას განუზრახავს მიმართოს კავკასიაში მიწად მოქმედების, და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს, რომ მან იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე, სესხად ფულის მოცემისათვის. ამ ფულით სადგურთან დაარსდებოდა ფიჭის სამზადებელი ქარხანა მაშინის საშვალებით და მით დაკმაყოფილდებოდა, როგორც სადგურისა, ისე კავკასიის მეფუტკრეთა მოთხოვნილებაო.

✦ როგორც მოეხსენებათ მკითხველებს, ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საბჭომ გააუქმა ქალაქის სკოლათა კომიტეტი და დაუმორჩილა იგი კავკასიის სამზრუნველო ოლქის სკოლათა წესებს და უფროსს; ამ განკარგულებამ ხმოსანთა შორის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია; დაინიშნა საგანგებოდ ხმოსანთა კერძო კრება იმის გამოსარკვევად, მიეცეს ამ სკოლას ღდეის იქით ქალაქისგან შესანახი ფული, თუ არაო, ესე იგი არსებობდეს სკოლა თუ არაო; რასაკვირველია, ბევრნი იყვნენ იმ აზრისა, რომ სკოლას სამუდამოდ დაეშრიტოს წყარო არსებობისა და მით გაუქმებულ იყოსო; საბედნიეროდ, პატიოსანმა გრძნობა-გონებამ სძლია,—ხმოსანნი ბოლოს იმ დასკვნას დაადგნენ, რომ სახელოსნო სკოლის გაუქმებით არა ერთი ღარიბი მოსწავლე გაუბედურდება და მის მაგივრად-კი ქალაქი ვერას მისცემს სამაგიეროდ ღარიბ მცხოვრებლებსაო. ამიტომ ხმოსანთა კრებამ საჭიროდ სცნო სახელოსნო სკოლის არსებობა, რა პირობითაც უნდა არსებობდეს იგი, ვის ხელშიაც უნდა იყოს,—სამინსტროსა, თუ ქალაქის ხელშიო.

✦ უკვე მოხსენებული გვქონდა გაზეთში, რომ 4 თებერვალს მოჰხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა, საფინანსო კომისიისა და ტეხნიკოსებისა. კრებამ განიხილა ჩოლოყაშვილისა, გურამიშვილისა და ვაშინგტონის ფირმის მიერ წარმოდგენილი პროექტები ქალაქის ქუჩების განათებისა- კრებამ დაადგინა, ეს პროექტები გარდაეცეს განსახილველად ხმოსან-ტეხნიკოსებს და, როცა მათ წარმოადგინონ თავისი აზრი, საბოლოვო მსჯელობა ამ პროექტის შესახებ მაშინ იქონიოს გამგეობამაო.

✦ თუ როგორ სწარმოებს ქალაქის საქმეები, ცხადად გვიჩვენებს გამგეობის დადგენილება 21 იანვ. ქალაქის გამგეობას გადუთვალიერებია სავაჭრო აგენტების მიერ შეტანილ ფულის ანგარიში და აღმოუჩენია, რომ ზოგიერთი აგენტი ჰკრეფავს ფულს და ორისამი თვე ჯიბეში აქვს და არ შეაქვს ქალაქის კასსაში დროზედ. მაშინ, როცა ქალაქის დებულების ძალით, ნება არა აქვთ სამ დღეზედ მეტს ხანს შეინახონ ეს ფული; ამის გამო გამგეობას დაუდგენია: ემცნოთ სავაჭრო აგენტებს, რომ, თუ მეორეთაც შენიშნულ იქმნენ ამისთანა ასქციელში, დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდგან ახლა-კი გამგეობამ შენიშვნა მისცა ამის მომქმედ სავაჭრო აგენტებს.

✦ ზემო ქართლისაკენ დიდი თოვლი მოსულა, რის გამოც სოფლებში მიმოსვლა შეჩერებულა. ცუდს ამინდს ბევრი უმსხვერპლია.

✦ ს. კორბოულში ზ.-იმერეთი—თოვლი სამ არშინზედ დაუდვია. თოვლის შემდეგ დაუჭერია ყინვა და სიცივე, რასაც სხვა-დასხვა ავადმყოფობა გაუჩენია.

✦ როგორც გვატყობინებენ, ს. კასპში—ქართლი—ძალიან გახშირებულა ქურდობა. 28 იანვარს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ღამით ერთიან დაუცარიელებიათ კნეინა ე. ამილახვრის სახლი.

✦ ამას წინად ნ. ა. ალექსი-მესხიშვილმა რუსულად გადათარგმნა წიგნი „ქვათა ღაღადი და სომეხთა მეცნიერნი“. წიგნს ზედ აწერია, ყოველ გაყიდულ წიგნის აღებულ ფულიდგან 5 კაპ. გადიდება კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდაო. სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობამ გუშინ „ნოვ. ობოზ.“-ში გამოაცხადა, ჩვენ არ გვსურს ავიღოთ 5 კაპ. და არც ვისთვისმე მიგვიცია ნება, წიგნზედ ხსენებული განცხადება დაებეჭდაო.

ფულს სწირავენ საქველ-მოქმედო დაწესებულებას, ის უარს ამბობს, არა, არ გვინდა თქვენი შემოწირული ფულიო. კარგი ამბავია!!

✦ ამა წლის 6 მარტს ოლქის სასამართლოს სესია ბათუმში გაარჩევს შარშან ბათუმში მომხდარ მუშათა არეულობის საქმეს.

ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის გამგზავრება ვენაში.

გუშინ წინ, თებერვლის 4-ს, საღამოს ათ საათზე, მრავალი ხალხი შეიკრიბა ტფილისის სადგურზედ. ამ ჟამად ყელის ტკივილით დასნეულებულ ჩვენი ძვირფასი მსახიობის ვლადიმერ ალექსი მესხიშვილის გასაცილებლად, რომელიც ათის საათის სამგზავრო მატარებლით გაემგზავრა საზღვარ გარედ—ვენაში სამკურნალოდ

ლადოს თან გაჰყვა ვენამდინ ქართული თეატ-

რისავე მსახიობი ნემო (ბ ჯანთაშვილი).

ზარის პირველად დარეკვის თანავე გარშემოხვეულ გამცილებელთა ჯგუფს გამოემშვიდობა, და შევიდა I-ლ კლასის ვაგონში; ბაქანი ხალხით გაიჭედა და ყველას თვალები ლადოს ვაგონის ფანჯრებისაკენ იყო მიპყრობილი, ყველას სწყუროდა ერთხელ კიდევ გადაევლო თვალი თავის საყვარელ მსახიობისათვის.

დაჰკრა მეორეჯერ ზარმა, ხალხი უფრო მიზღვავდა ვაგონისაკენ, ლადოც მოდგა დახურულ ფანჯარასთან და ხალხს თავს უკრავდა. მთელმა ხალხმა ქუდი მოიხადა და იგრიალა: „მშვიდობის მგზავრობა მოგცეს ღმერთმა. ღმერთმა მშვიდობით გვიჩვენოს შენი თავიო“ ბევრს გული აუჩუყდა და ცრემლები ვეღარ შეიმაგრა. დაიძრა მატარებელი და ვაშას ძახილით და ტაშის ცემით გააცილეს საყვარელი მსახიობი.

მეთვალყურე.

სად არის შესანიშნავი წიგნი?

ვიდრე შატბერდის კრებული აღმოჩნდებოდა, ფრიად ნაკლულევან ვიყავით ისტორიულ წყაროებით.

ქართლის ცხოვრებას დღესაც არ ენდობიან მეცნიერნი და მის ცნობებით ბოდიშის მოხდით სარგებლობენ. ამ ათიოდე წლის წინად ერთი აქაური „პუბლიცისტი“ ქართლის ცხოვრებას, ვითომდა „ვახტანგ მეფის მიერ შეთხზულს“, არაფრად აგდებდა და ამტკიცებდა, ქართველები კავკასიის მთებიდგან ჩამოვიდნენ მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეშიო...

ქართველებს-კი ამდრომდე ძლიერი მწერლობა ჰქონდათ და ამ მწერლობის ნაშთნი—ეტრატზე ნაწერი წიგნები ხუთასნი და ათასნია.

თუ რა მიზეზით მეცნიერნი არ ენდობიან ჩვენს „ცხოვრებას“, ეს საკმაოდ გამოვარკვიეთ ჩვენს წერილში „ქართველთა მატიანე“, რომელიც იბეჭდება.

ხოლო აქ მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ ერთს კრებულზე, რომელიც საკუთრება ყოფილა კათალიკოზის ანტონი II-ისა (+ 21 დეკ. 1827 წ.).

თეიმურაზ ბატონიშვილი თავისს ისტორიაში სწერს (გვ. 83): „არსენი დიდისა კათალიკოსისა სრულიად ივერიისა, მოთხრობისაგან გამოღებულთა, რომელიცა გამოკრებულთაგან სხვათა-და-სხვათა საქართველოს ძველთა ამბავთაგან ვრცელისა ისტორიისა შესადგომად გამოეწერინებინა ანტონი პირველსა, ბიძამან ჩემმან ანტონი მეორემან გამომაწერინა შეკრებულთა მათგან მოთხრობათა პეტერბურღს ყოფასა შინა თვისსა წელსა ქრისტესით 1822-სა“.

სხვა ადგილას (გვ. 178): „ძველის ქართლის ცხოვრებიდამ გამოწერილი მე თვით გამოვსწერე კათალიკოსის ანტონის შეკრებულის მოთხრობებიდამ, რომელიცა მრავალთა წერილთაგან გამოეკრიბა და ნებავდა თურმე ისტორიისა სრულისა აღწერა და აღარ დასცალდა და ის გამოწერილები ისე უქმად დარჩა და მე უწმიდესმან კათალიკოზმან, მამის ძმამან ჩემმან, ვინაიდგან მიყვარდა მე ისტორია, მრავალი რამ საისტორიო საქართველოისთვის გამომაწერინა თავისის წიგნებიდამ. ანტონი კათალიკოზი პეტერბურგს ბძანდებოდა წელსა 1820 და შემდგომს წელიწადებშიაც და მაშინ გამოვსწერე“...

თეიმურაზი ხშირად უჩვენებს აგრეთვე კათალიკოზის არსენი დიდის ისტორიულ მოთხრობას.

ეს ანტონის კრებული მით არის შესანიშნავი, რომ მის ცნობებს ემოწმება შატბერდის კრებულის მოთხრობა.

რაც დროთა ვითარებისაგან არეულა ქართლის ცხოვრებაში, ის შატბერდის კრებულსა და ანტონის კრებულში უფრო სწორედ დაცულა.

ქართ. ცხ.	შატბერ. კრებ.	ანტონის კრებ.
დაიპყრნა ალექსანდრე დიდმან ყოველი ქართლი და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ, ძე იარედოსისი, ნათესავი მისი და მისცა ასი ათასი კაცი ქვეყანით რომით, რომელსა ჰქვიან ფროტათოს	...დაიპყრა ქართლი და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძჱ არან ქართლისა მეფისაჲ ჲმას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არან ქართლად, მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, ჲ დაჯდა ძუელ მცხეთას ჲ თანა ჰყუანდეს კერპნი ღუთად გაცი და გაიმ	...დაიპყრა ყოველი ივერია და დატოვა მცხეთას აზონ, ძეჲ არიანე მთავრისა ასი ათასითა მხედრობითა (ისტორია თეიმურაზისა, გვ. 111). კვლად წარვიდა აზონ მამისა თვისისა მიმართ არიანესსა და მოიყვანა მუნით ათი სახლი ჩინებულთა და ათასი სახლი მდაბიონი და ყოველნი დედაწულითურთ მათით მოვიდეს და დაეშენნეს ქართლს და თანა ჰყვეს მათ კერპნი მათნი ღუთად (იქვე).

ფროტათოსი ევფრატის სახელია. მართლაც, მაშინ ალექსანდრე დიდს უკვე დაპყრობილი ჰქონდა შუამდინარეცა და მთელი სპარსეთიც. ალექსანდრე მცხეთას არ ყოფილა, ხოლო იყო საგართიას (სა-ქართია=სვ. ქართ=ქართლი), გურგანის ზღვის პირას, არეზის მარჯვენა მხარეს, საცა სცხოვრებდნენ კადუზიანები, ერი ძრიელი, მებრძოლი და მე-XII საუკ. შესანიშნავის წიგნის „დილარიანის“ მოწმობით თაყვანისმცემელი არმაზისა, გაცისა, გაიმისა და ზადენისა, მონათესავე კოლხთა, საგაბუნიოთა დაბრუტოსის მცხოვრებთა (ბრუტოსი=ბრუტ-საბძელი), ქვეშევრდომი მეფე ფარსმანისა“. იქაც, ვითარცა მცხეთის ახლოს, იყო კასპი, კასპის-კარი, იყო ზად-რაქართი, ქალაქი აზონი, მთა კავკასია, იალბუზი, სცხოვრობდნენ კასპნი, გელნი, მარდნი, ალბანნი. დასასრულ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ბერძენ-რომაელთა მწერლების ჩვენებით ამ საგართიის დამაარსებელნი იყვნენ კოლხთა მეფის აეთის ასული მედია და ამ მედიას შვილი მიდი... და იქაური გმირების—როსტომის, ბეჟანის, გივის, ტუსის და სხ. ამბავი არც ერთს ერს ისე არა აქვს „ძვალ-რბილში“ გამჯდარი, როგორც ქართველს ხალხს...

ამ მხარეს ძველი დროითგანვე არანი ეწოდებოდა და მის ცოტა იქით იყო არიანა. ამ არან-ქართლს (ზემო ქართლიც იყო და ქვემო ქართლიც) მოისწრაფოდნენ ქართველები „ფროტოსითგან“ და არარატის ღელე-ყურეებიდგან, საცა 600 წელი დაჰყვესო...

საჭიროა ანტონი კათალიკოზის კრებული მოიძებნოს პეტერბურგში.

მ. ჯ.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

1 თებერვალი (მეოც-და-სამე—უკანასკნელი სხდომა).

კრება დაიწყო 12 საათზე. წაკითხული იქმნა 30-სა და 31 იანვრის ოქმები.

ოქმების კითხვის დროს ბ. კალისტრატე ჩიკვაიძემ რაღაც ქაღალდი გადასცა თავმჯდომარეს და გავიდა გარედ.

ბ-ნი სოლოვიოვი. ოქმში სისწორით არაა მოყვანილი ჩემი სიტყვები. როცა თავმჯდომარე შეგვეკითხა,—ვის ახსოვს, რომ ბ. მოსეშვილმა „ინდულგენციასთან“ „კომისიაც“ ახსენაო,—მე არ მითქვამს,—კომისიის მოწმობებს ჰქონდა ინდულგენცია-თქო; მე ვსთქვი, —რამდენადაც მახსოვს, ბ. მოსეშვილმა შეჰნიშნა: მაშ კომისიას ინდულგენციები დაურიგებიაო; გთხოვთ, ოქმშიაც ასე შეიტანოთ.

ბ. გ. ზდანოვიჩი. როცა გუშინ კენჭის ყრის დროს კრება ითხოვდა,—რატომ ბ. მარკოვსკიც არ მოჰშორდება სცენას, რა მოხელე გარეშე კაცი ამ დროსაო, მხოლოდ ასისტენტები და თავმჯდომარე უნდა იყვნენ სცენაზეო,—ბ. მარკოვსკიმ განაცხადა, მე სამინისტროს წარმომადგენელი ვარო. მაგრამ ინჟ. მარკოვსკი კრებაზე-კი არა, მხოლოდ სარევიზიო კომისიაში იყო სამინისტროს წარმომადგენლად. როდესაც კრება დაჟინებით თხოულობდა,—მაშ ინჟ. მარკოვსკიმ საბუთი წარმოგვიდგინოსო,—მან განაცხადა,—მე განსაკუთრებული მინდობილობა მაქვსო. ეს ოქმში გამოტოვებულია და გთხოვთ შეიტანოთო.

თავმჯდომარე. გთხოვთ მოისმინოთ ბ. ჩიკვაიძის განცხადება.

მდივანი შეუდგა კითხვას.

ბ. ჩიკვაიძის განცხადება შეეხებოდა წინა დღის არჩევანებს; ავტორის აზრით, კენჭის ყრის დროს ჯეროვანად არ იყო წესიერება დაცულიო; მაგ., როცა კრებამ მოითხოვა,—ზოგი პირველადაა კრებაზე და არც რუსული ესმის, საჭიროა ვინმე განუმარტოს ქართულად, რომელი ყუთია ბ. ზდანოვიჩისა ჲ რომელი თ. ერისთავის, ან კიდევ რომელი უჯრაა თეთრი კენჭისათვის და რომელი შავისათვისაო,—თავმჯდომარემ განაცხადა,—როდესაც მოვლენ კენჭის ჩასაგდებად, თუ საჭირო იქნა, მე თვითონ ავუხსნი ქართულადაო. თუმცა არავის არ განუცხადებია ბ-ნ თავმჯდომარისათვის, რუსული არ მესმის და ქართულად ამიხსენით კენჭების მნიშვნელობაო, ის მაინც ზოგიერთს უჩვენებდა კენჭის ჩაგდების დროს,—ესაა თეთრისათვის და ეს შავისათვისო, და თანაც ხელს ადებდა ყუთს; კნ. ელისაბედ წერეთლისას არავითარი დარიგება არ ესაჭიროებოდა, მაგრამ თავმჯდომარემ მაინც აუხსნა უჯრების დანიშნულება და უჯრების წინ ჩამოფარებული მაუდიც-კი ასწია; კნეინამ კიდეც შეჰნიშნა ხმა-დაბლა,—ხელს ნუ მიშლითო. მე, ბ-ნმა ემერიკმა და ექ. ჭიჭინაძემ რამდენჯერმე შევნიშნეთ თავმჯდომარესა და ბ-ნ პრინცს, ნუ დგახართ ყუთების წინ, აქეთ ჩამოეცალეთ-თქო, და ბ-ნი პრინცი კიდეც მოჰშორდა, მაგრამ თავმჯდომარემ მაინც თავისი განაგრძო. როდესაც მივიდა ყუთებთან თავ. კ. გურიელი, თავმჯდომარემ ქართულად აუხსნა უჯრების დანიშნულება,—თუმცა სრულიად საჭირო არ იყო, რადგან თავადმა გურიელმა ვრცელი სიტყვებიც-კი წარმოსთქვა რამდენჯერმე რუსულს ენაზე. აგრეთვე მოექცა ძმ. ვაშაძეებსაც. გთხოვთ ეს განცხადება გუშინდელ ოქმთან ერთად საბჭოს ქაღალდებში მოათავსოთო.

კნ. ე. წერეთლისა (აღელვებით). ბ-ნმა ჩიკვაიძემ ალბად იმიტომ მომიგონა ეს ურცხვი ჭორი, ეს საზიზღარი სიცრუე, რომ პირადად ჩემი შეურაცხყოფა უნდოდა. ბატონებო, მე პირველად ვესწრები საზოგადო კრებას და გთხოვთ, როგორც მანდილოსანი, დამიფაროთ ამ საშინელის ცილისწამებისაგან. ნეტავ ერთი სიმართლის მგვანი სიტყვა მაინც ერიოს ჩიკვაიძის განცხადებაში ჩემს შესახებ. (ხანგრძლივი ტაში).

თავ. გ. გურიელი. ბატონებო, კალისტრატე ჩიკვაიძე ნაჩვევი გახლავთ თავის არჩევნებზე აყალ-მაყალსა (скандалъ), და გულმა ველარ გაუძლო, რომ აქაც აყალ-მაყალით არ გათავდა საქმე და, სხვა რომ ვეღარა მოგვახერხარა, მიჰყო ხელი ცილის-წამებას. როგორ არა რცხვენიან, განათლებული კაცი ასეთ სამარცხვინო საქმეებს სჩადის. ერთი სიტყვაც არაა მართალი მის განცხადებაში. ყოველივე მოჭორილი და მოგონილია (ტაში).

ესევე განაცხადეს ძმ. ვაშაძეებმა ქართულად,—ბ. ჩიკვაიძეს ტყუილი მოუგონია ჩვენს შესახებაო.

ბ. გ. ზდანოვიჩი. ბ. ჩიკვაიძისაგან ჩვენ უკეთესს არას მოველოდდით; ეს იყო მისი სული და გული და კიდეც გადმოგვილაგა. მხოლოდ იმასა ვსთხოვ კრებას, ამგვარ განცხადებების ჩართვით ნუ გავაბინძურებთ ჩვენს ანგარიშებს.

კრებამ ერთხმად დაადგინა, უკანვე დაუბრუნდეს ავტორს, ან სრულიად მოისპოს როგორც ეს განცხადება, ისე მის მიერ წინად წარმოდგენილი ვრცელი შენიშვნა ოქმის შესწორების შესახებაო.

სანამ კენჭის ყრას შეუდგებოდნენ, ბ. გ. ზდანოვიჩმა წაიკითხა სამადლობელი დეპეშები, რომელნიც უნდა გაეგზავნოს: მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, სამთო დეპარტამენტის დირექტორს, ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსს და ინჟ. შოსტაკს. ყველა მოწონებულ იქმნა კრების მიერ.

კრებამ მადლობა გადაუხადა კრების თავმჯდომარეს ინჟ. ა. გ. ცეიტლინს და დაადგინა, რადგან ახლო მომავალში სრულდება 25 წელი მისის მოღვაწეობისა, ადრესი მივართვათ.

თავ, ს. დ. წერეთელმა კრების მინდობილობით მადლობა შესწირა ნ. პ. პრინცს (ტაში).

შემდეგ ამისა შეუდგნენ კენჭის ყრას, რომლის შედეგიც ჩვენის გაზეთის № 28-ში ახალ ამბად იყო მოყვანილი,

კრება $6^1/_2$ საათზე დასრულდა.

ჩვენებური ამბები

სურამი. შარშან ზაფხულს მცხოვრებლებთ ფული გადაახდევინეს და ქუჩებზედ ფარნები მოაწყეს. სრული იმედი მოგვეცა, რომ ღამე კისერს აღარ მოვიტეხავთ ხოლმეო, მაგრამ იმედი იმედათ დარჩა. ფარნები თურმე მარტო მოაგარაკეთათვის ყოფილა გაკეთებული, რაც სჩანს იქიდგან, რომ მოაგარაკეთა წასვლისათანავე აიღეს ფარნები. ახლა დავრჩით უფარნოდ, რის გამოც ღამით, ამ უბედურ ზამთარში, ლამის კისრები მოვიტეხოთ. არ ვიცით, ჩვენი „მამები“ რა აზრისანი არიან, მაგრამ ის-კი ცხადია, რომ ამ ზამთარში უფრო საჭიროა ფარნების მოწყობა.

საჭიროა აგრეთვე ქუჩები შესწორდეს, ნამეტნავად ესრედ წოდებული „შავ-ხიდთან“, რომლის ახლოც გავლა შეუძლებელია არა თუ ღამით, არამედ დღითაც.

სურამელი.

საჭილაო (სენაკის მაზრა). საჭილაო ძალიან დიდი სოფელია, მაგრამ მე ამ სოფლის იმ კუთხეზედ მოგახსენებ, რომელსაც მარნის ჭალას ეძახიან, იმიტომ, რომ ოდესღაც ამ ჭალაში სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს მარანი ჰქონია ჭურებით სავსე. დღეს-კი ამ ჭალას თავი მით მოაქვს რომ გამართული აქვს ხე-ტყის სახერხავი ქარხანა და ხე-ტყის საწყობები ილია ოქრომჭედლიშვილის (სერებრიაკოვის) მემკვიდრისა. საზოგადოდ მთელ ვაკე იმერეთისათვის და კერძოდ ამ სოფლისთვის ეს ქარხანა დიდ-მნიშვნელოვანია. თორმეტი წელიწადი სწარმოებს ეს ქარხანა და შესამჩნევად დაეტყო მკვიდრთ მისგან სარგებლობა, რადგანაც ადგილობრივი მცხოვრებნი მუშაობენ ამ ქარხანაში და მით ფულსაც შოულობენ და ხე-ტყეც დამზადებული ეშოვებათ თავიანთ ოჯახის მოსაწყობად. სად იყო ამ თორმეტი წლის წინად ის გამოჭიმული ოდები, სამზარეულოები, ყავრით დახურული და ფიცრით დაიატაკებული, რომლითაც თავი მოსწონს ახლა საჭილაოს და მარნის ჭალის მცხოვრებთ? სახლების გაკეთება და გადაკეთება, რასაკვირველია, მათი ჯან-საღობისათვისაც გამოსადეგარი შეიქნა ამ დაბალ და ნოტიო ადგილებში.

მარნის-ჭალაში სდგას მთავარ-ანგელოზის სახელის ეკკლესია, რომელიც ათი-თუთხმეტი საჟენის მაღლიდან ადგილიდან დაჰყურებს მოხსენებულ სახერხ ქარხანას. ას ორმოცდაათი კომლი იქნება აზნაური და გლეხი ამ ეკკლესიაზედ შემავალნი და ეს ეკკლესია ისე პატარა არის რომ კომლიდან თითო ადამიანი რომ მივიდეს წირვის მოსასმენად, ნახევარი საყდრის გარედ დარჩება. რა მიზეზია, რომ ეს ხის ეკკლესია ამოდენა მრევლმა ვერ გააფართოვა, რამდენადაც საჭიროა? შარშან მარტში, ბლაღოჩინმა მოახდინა ამ ეკკლესიის მრევლის ყრილობა და, ის იყო, უნდა შესდგომოდნენ ეკკლესიის გადიდების საქმეს,—შეიქნა ხალხში ყვირილი: „არ შეიძლება, არ შეიძლება!“—რა არ შეიძლება?—თუ ამ ეკკლესიის მღვდელი მთავარ-ანგელოზობას შამოსულ შემოსაწერს მლოცველებისაგან თავად არ წაიღებს და ეკკლესიას ასარგებლებს, თორემ ეკკლესიის გადიდებას ვერ შეუდგებითო... და დაიშალა ყრილობა.

აპრილში იმავე ბლაღოჩინმა მეორედ მოახდინა ყრილობა ამავე საგანზედ და გამოუცხადა მრევლს: მღვდელს ჩამოვართვი უფლება ქათმების და სხვა შამოსაწირის თავის სასარგებლოდ წაღებისაო, აწი ამ შამოსაწირს ეკკლესიის მნათე მიიღებს ხოლმეო, და ახლა ეკკლესიის გადიდების შესახებ რას იტყვითო? ხალხმა განაცხადა: ახლა, ბატონო, მოგეხსენებათ აპრილია, სიმიდი დავთესეთ, მოვა თუ არა ჯერ არ ვიცითო და ამიტომ ეკკლესიის გადიდებას ვერ შეუდგებითო. ამ ნაირად, გადიდო საქმე წარსულის წლის ენკენისთვემდე. ენკენისთვე მოვიდა და კიდეც წავიდა, სიმინდიც საზოგადოთ კარგი იყო და ბლომათაც მოვიდა. ახლა კიდევ აპრილი მოვა, სიმინდს დასთესავენ და ასე და ამ გვარად რჩებათ ეკკლესია ისევე, როგორც დაუტოვებიათ მათ მამა-პაპებს.

არ აკეთებენ ეკკლესიას და მერე რა დროს? როცა ყოველივე საჭირო მასალა იქვე უწყვიათ რამოდენიმე საჟენის მანძილზედ, ძალიან ადვილად საშოვარი; როცა მათ გარდა ბევრი გარეშე კაციც მისცემს შემწეობას ამ კე-

---

ფელეტონი

ბედაურები დაიხოცნენ — ვირებს დარჩათ მოედანი.

(დრამა ერთ მოქმედებად).

—

მომქმედნი პირნი:

კნ, თამარ. ქვრივია. ქმარი თავ. თამაზ ომში მოუკლეს. პენსიითა სცხოვრობს. მუდამ მამულების დავაშია. ათი წელიწადია ლოგინად არის ჩავარდნილი. სოფელში აქვს მუდმივი ბინა.

ასიკო,—კნეინა თამარის შვილია. შვიდ შვილში ეს ერთი-ღა დარჩა. ამხანაგებმა მეტ სახელად კვალ-დაბნეული, დღე-ნაკლება დაარქვეს. დედამ მხოლოდ 7 თვე ატარა მუცლით და დღე-ნაკლება იმიტომა ჰქვიან. სწავლა მიღებული აქვს მუნჯურის მეთოდით. როგორც იყო, სწავლა მაინც დაამთავრა, მაგრამ ყოველს მისს მოქმედებას დღე-ნაკლულობა ატყვია.

დავით დაკარგულოვი,—იგივე ყია-მურალ ბზუილა. უკანონო შვილია თავ. თამაზისა. ესეც მუნჯურის მეთოდით არის აღზრდილი, მაგრამ ამისაგან არა გამოვიდა-რა. ერთი საზიზღარი ზნე ამხელს მისს ხასიათს: არ შეუძლიან გამვლელ-გამომვლელს, უცხოსა, თუ შინაურს, ჯიბიდგან ხელცახოცი არ ამოაცალოს. ამ ხელობის წყალობით კარგად მიღებულია ერთ დუქანში, სადაც ნაქურდალს ასაღებენ.

ბესარიონ,—კნეინა თამარის მოურავი. ამბობენ, ცოტად მოისულელებსო და ამიტომაც თამაზის ოჯახის ერთგულიაო. ვერ მოუნელებია „სტრაჟის“ დაწესება. დარწმუნებულია, რომ მას აქეთ, რაც „სტრაჟა“ შემოიღეს, მამულის შემოსავალმაც იკლოო.

ქალაქელი ვაჭარი,—ერთი დუქანი ორთაჭალაში აქვს, იქ ნაქურდალს ასაღებს. მეორე მადაზია—დიდ ქუჩაზედ, აქ „დუხებსა“ ჰყიდის. ევროპულად აცვია. სადაც მივა, ვიზიტის კარტის მაგივრად ათ თუმნიან ასიგნაციას შეგზავნის ხოლმე და უთუოდ მიიღებენ. მხოლოდ იქ დადის, სადაც ხეირს გამოელის. ყია-მურალ ბზუილას მეგობარია, კვალ-დაბნეულ დღე-ნაკლებასაც იცნობს.

სასამართლოს ბოქაული,—იგივე სუდებნი პრისტავი. ორი თვე უკლია პენსიამდე. „ოტსტავკაში“ გამობრძანებას უპირებენ.

მოქმედება სწარმოებს სოფელში, კნეინა თამარისას, ჩვენსა ჟამსა შინა.

—

სცენა წარმოადგენს არა-მდიდრულად მორთულს ოთახს. კედელზედ დახავსებული საათი ჰკიდია. ყოველთვის საათ-ნახევრით არის უკანა. მაგიდაზედ ერთი წიგნი გდია, არც თავი აქვს, არც ბოლო. შინაარსის წაკითხვითაც ვერ მიხვდება ადამიანი რა არის აწერილი, ის კი ცხადია. რომ წიგნი ქართულია. ყველა ზაქარიას გამოცემას უძახის. კედელს ორი ცარიელი ხის ჩარჩო ამშვენებს. ეტყობა თავის დროზედ რაღაც სურათები ყოფილა შიგა. ეხლა ერთ ჩარჩოსთან მიყუდებულია კბილებ მომტვრეული სავარცხელი, მეორეზედ სარეცხის საპონი დაუდვიათ.

გამოსვლა I.

(კნეინა თამარ და ბესარიონ მოურავი)

კნეინა თამარ (ლოგინში წევს. ძალზედ გამხდარი). ბესარიონ, კიდევ გადაგვიხნეს სამზღვრები ელიზბარიანთ კაცებმა?!.

ბესარიონ. კიდევა, თქვენი რისხვა არა მაქვს. ქალაქიდან გიახელ თუ არა, ეგ ამბავი მამაგებეს ბიჭებმა. მაგრამ ეხლა-კი, ღმერთია მოწყალეა, მალე მოეღება ბოლო ამდენ უსამართლობასა.

კნ. თამარ. როგორ? რა გაგიგია?

ბესარიონ. ქალაქში მოგახსენებდნენ... აისემეს გადაუწყვეტიაო... აი,—რამ დამავიწყა იმისი სახელი... მეურნეობის კრებას დაუდგენიაო, აღარავის მიეცეს უფლება სხვის საკუთრების დაჩემებისაო...

კნ. თამარ. მეურნეობის კამიტეტი ვილა არისო,—გამაგებინე ერთი.

ბესარიონ. ვილა არ არის, შენი ჭირიმე! დიდი და პატარა სულ იქ არიან მოქცეულნი, უფროსებიცა და უნცროსებიცა. თითონ თქვენი მაზლი ელიზბარიც იქ ბრძანდება.

კნ. თამარ. მერე რა, რომ ყველანი იქა ბრძანდებიან?

ბესარიონ. რაღა რაო, ბატონო: თუ ელიზბარმა იმ ნაირ კაცებთან თითონვე სთქვა, სხვის საკუთრებას არ უნდა შევეხოთო, როგორღა გაბედავს სიტყვას გადაუდგეს? ეხლა პოლიციაც დაჩაგრულის ქომაგი იქნება და სუდიაც... იმ კამიტეტში ბევრი სასიკეთო ულაპარაკნიათო: უნდა ვეცადოთ, მამულს ხარჯი მოუკლოთო და შემოსავალი-კი მოუმატოთო.

კნ. თამარ. მაშ, იმედია, სტრაჟაზედაც იტყოდნენ რასმე.

ბესარიონ. რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე, მაგაზედ მგონი არავის არაფერი მოუხსენებიარა...

კნ. თამარ. ეჰ! მაშ მაგაებს თავი დავანებოთ. შენ ეს მითხარი, ჩემი შვილი ხომ ქალაქში დაგხვდა? წერილი ხომ გადაეცი?

ბესარიონ. ვერა, შენი ჭირიმე, ვერ გადაეცი, თუმცა ქალაქში-კი ბრძანდებოდა.

კნ. თამარ. რატომა, კაცო?

ბესარიონ. სათქმელადაც-კი მეძნელება, ქალბატონო! გული გაიმაგრეთ, შენი ჭირიმე, ცუდი ამბავი უნდა მოგახსენო. თქვენი შვილი ავად გახლდათ. თავის ჭკუაზედ ვეღარ არის. სულ რაღაცაებს ბოდავს. ტანისამოსსაც იხევს.

კნ. თამარ (ტირის). ვაი შენ, ჩემო უბედურო თავო, ესღა აკლდა ჩემს გამწარებულს ბედსა. ვისთვისღა ვიტანჯებოდი და ვშრომობდი, თუ ერთად-ერთი შვილიც გამიჟიდებოდა?! ხომ გიცნო?

ბესარიონ. ჯერ თითქო მიცნო. დალაგებით დამიწყო გამოკითხვა, ჩემი სამშობლო მხარე როგორ არისო? დედა ხომ არ მიჯავრდება, რომ ვერა ვნახე სოფელშიო? დარიგება მამცა, როგორ უნდა მოუარო მამულსა, რომ აყვავდესო...

კნ. თამარ. მერე, მერე, ბესარიონ?

ბესარიონ. მერე შეჰქნა ერთი ყვირილი, და გადმოედინა დორბლები. ამ დროს შემოვიდნენ ყმაწვილები. დაუწყეს დამშვიდება, მაგრამ ვერას გახდნენ. ხელათ თავი გაუპარსეს, ცივი წყალი დაასხეს და ამან დააშოშმინა. მერე ჩაიძინა კიდეცა.

თამარ. ექიმებმა რა სთქვეს, ექიმებმა?!.

ბესარიონ. არა უჭირს-რაო. ამითი არ მოკვდებაო, მხოლოდ სრულს ჭკუაზედ-კი ვეღარ დადგებაო. ჩვენში სხვაც არის ბევრი ამისთანაო. სოფელში უნდა წაიყვანოთო.

კნ. თამარ. იმისი პატიოსანი ძმა ყიამყრალა ბზუილა სადღა იყო? რატომ არ მიეშველა?

ბესარიონ. თქვენი მტერი, რომ ბზუილას საქმეა წასული.—ჯიბგირობა დაუწყვია იმ შეჩვენებულსა. თუმცა ყველამ იცის, რომ უკანონო შვილია ცხონებულ ბატონისა, მაგრამ მაინც თავსა გვჭრის თავისის უსირცხო საქციელითა. ამას წინად პოლიციას ჩავარდნოდა ხელში, მაგრამ ენა მოქნილი აქვს და თავი დაუღწევია. მოგახსენებდნენ ცირკში ერთ ფრანცუზს რაღაცნაირად გაწვრთნილი ღორები ჩამოერეკნა. გეეგო ჩვენს ბზუილას ესა, და ერთი მოეპარა და ქალაქის ხორცის დუქანში მიეტანა. იქ შეუტყეს თურმე. პრატაკოლიც შეუდგინესო, მაგრამ ვიღაც შეძლებული ვაჭარი წამოჰქომაგებია და თავი დაუხსნევინებია. ჭორად გავიგონე, თურმე იმ ვაჭარს დიდი ხანია თვალი უჭირავს თქვენს მამულზედა. ბზუილას მოხერხებით, სულ თუ არა—ნახევარი მაინც უნდა შეისყიდოსო. ბზუილას დაუტრაბახნია, თუმცა უკანონო ვარ, მაგრამ ჩემ სულელ ნახევარ ძმას, ვექსილები და სხვა ქაღალდებიც კაი ხანია ჩა-

თილ საქმის განსახორციელებლად...

დიდი ქების და მადლობის ღირსია აქაური მამასახლისი: ცხენის წყლიდგან რამოდენიმე ათასი ურემი ქვა, ხრეში და სილა ამოიტანა საზოგადოების ღონით—ცხენის წყალს მოაშორა და იქვე ორმოცი საჟენის მანძილზედ დაჰყარა,—ვითომ და რა! ამით რაც მის საზოგადოებაში გაფუჭებული გზებია გაკეთდებაო. მაგრამ დალოცვილიშვილი, თუ გზებს არ გააკეთებდა, ის ქვა და ხრეში იქვე ყრილიყო ცხენის წყალი თუ დაუმატებდა იომრემ არ მოაკლებდა. კი, მართალია, რამოდენიმე გაზიდა გზების შესაკეთებლად, მაგრამ სად?—სადაც უფრო ხშირათ დაიარება თითონ მამასახლისი, ესე იგი თავის სახლსდა სოფლის კანცელარიას შუა. მამასახლისს დავიწყებია რომ თავის საზოგადოების საზღვარი მეორე საზოგადოების დასაწყისია (სამიქაოს საზოგადოება, ქუთ. მაზრისა) სწორედ იმ საზღვარიდგან, სადაც ბოძია ჩაგდებული, მარნის საზოგადოებისკენ ორასი საჟენი ისეთი გზა არის, რომ ქვეითი მგზავრი თუ ყანებით, ან მცხოვრებლების ეზოებით არ წავიდა, ღობეებზედ და თხრილებზედ არ იხტუნა, გასვლა არ შეუძლია; ცხენოსანი, როცა ამ მანძილის გავლას დაიწყებს, წმ. გიორგის სახელი უნდა ახსენოს, რომ მშვიდობით გავიდეს მავნე გზაზედ, ცხენი არ ჩაეფლას ტალახში და თითონაც შიგ არ ჩარჩეს.

რა გააშრობს ამ გზას, ან რა ქვა და ხრეში გააკეთებს, როცა დასავლეთის და აღმოსავლეთის მხრით უსარგებლო ეკალ-ბუჩქნარი და თხმელის ხეებია ჩაყოლებული და არც ქარსა და არც მზის სხივებს არ აკარებს გზას, რომ თავისი ბუნებრივის მოქმედებით გააშროს.

სვიმონ გრიგოლიშვილი.

რუსეთი

„სიბ. უ.“ დაბეჭდილია შემდეგი წერილი: „გაზეთ „სტეპნოი კრაი“-ს რედაქცია თავს ანებებს თავის გაზეთს, რადგან შეუძლებლად სცნობს მუშაობას ახლანდელს გარემოებაში“.

უცხოეთი

გერმანია. მიუნხენში დააარსეს ახალი საზოგადოება, ფერეინი, რომელსაც აზრად ავის სენის წინააღმდეგ ბრძოლა გაუხდია. ამას წინად მოხდა კრება ფერეინის დამაარსებელთა, წევრთა და გარეშე მაყურებელთა თანადასწრებით. კრება განზრახ კვირა დღეს იყო დანიშნული, რომ საზოგადოების ყოველ წევრს შესძლებოდა დასწრება და თავის აზრის გამოთქმა. მართლაც, მთელი ვეებერთელა უზარმაზარი დარბაზი ხალხით გაივსო. ქალებისა და კაცების ტევა აღარ იყო. წაიკითხეს მოკლე-მოკლე წერილები (რეფერატები) ჰიგიენისა, პსიხიატრიისა, საპოლიტიკო ეკონომიის შესახები და სხვა მრავალი სპეციალური წერილები. თვითოეული სცდილობდა დაემტკიცებინა კრებისათვის, რომ ავი სენი დიდს განსაცდელსა და დაღუპვას უქადის გერმანიის ხალხს, ყურის წაგდება ამ მოვლენისა ყოვლად შეუძლებელია, საჭიროა მთელი საზოგადოება შეებრძოლოს კაცობრიობის ამ გამანადგურებელ სენსაო. გამოითქვა აგრეთვე ის აზრი, რომ მთავრობა და საზოგადოება სრულიად ყურადღებას არ აქცევს ამ სენს და არ ცდილა მის აღმოფხვრასა ან შემცირებასაო. მთავრობა და საზოგადოება ამ შემთხვევაში იმ ფრინველსა ჰგავს, რომელიც განსაცდელის დროს თავს ფრთებ ქვეშ ჰმალავს იმ იმედით, რომ არავინ დამინახავსო. ასეთი გულგრილობა იმითი აიხსნება, რომ ავი სენი უცბად და ერთიანად არ ანადგურებს მცხოვრებლებს, როგორც ხოლერა და ჟამი; თუმცა არც ხოლერას, ჟამს და სხვა სენს იმდენი ზარალის მოტანა არ შეუძლიან, რადენიც ავ სენს. ჭკუიდან შეშლა, დამბლა, სიჩლუნგე ხშირად ავი სენისაგან წარმოსდგება. ბევრია ისეთი შემთხვევა, როცა ადამიანი სხვის მიერ (მამის, დედის) ჩადენილ ცოდვებისთვის თითონ ხდება მოპასუხე, რადგანაც ავი სენი გადამდები ავადმყოფობაა.

თუ რამდენად გავრცელებულია ავი სენი გერმანიაში, გვიმტკიცებს შემდეგი ციფრები: პრუსიაში ათას სულზე დღეში სამი ავადმყოფი მოდის. გერმანიაში სულ 58 მილიონი ითვლება, რომელთა შორის ავის სენით შეპყრობილი დღეში 174,000 სულს უდრის. ახალ ცოლ შერთულებში ას კაცზე 5 ავის სენით ყოფილა ავად.

სხვა-და-სხვა საზოგადოებრივ კლასში სხვა-და-სხვა გვარადაა გავრცელებული ავი სენი. ჯარის კაცთა შორის ას სულზე 4—5 სული მოდის; მუშებს შორის—8, ვაჭრებს შორის—17, სტუდენტებს შორის—25! მუშებს შორის შედარებით ნაკლები რიცხვი ხდება ავის სენით ავად, რაიცა აიხსნება მით, რომ მუშები ადრე ქორწინდებიან. მაგრამ ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებს შორის ეს სნეულება უფრო ხშირია. პროფ. ბრენტონის გამოანგარიშებით ზარალი, რომელიც ავი სენისაგანაა გამოწვეული, წელიწადში უდრის 75 მილიონ მანეთს.

კრებაზე გამოირკვა აგრეთვე ის საზარელი და გულის შემზარავი სურათი, რომელიც არღვევს და ანადგურებს ოჯახის ბედნიერებას და მყუდროებას; ხშირად მომხდარა და ხდება, რომ ცოლს ქმრისაგან გადასდებოდეს ეს საშინელი სენი; მთავრობა ამ მხრივ არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ავადმყოფია თუ არა, ვინც თხოულობს ცოლს ან ვინც თხოვდება.

“ჩვენაო,—სთქვა ერთმა ორატორმა—ვიტანჯებით ჩვენის დედ-მამის ცოდვების გამო. ჩვენც თავის-თავად პასუხის-მგებელნი ვართ იმათ წინაშე, რომლებიც ბრმები, გიჟები და გონება დამთხვეულები იბადებიან. ბუნება შურს იძიებს, სამაგიეროს გადაგვიხდის, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ამ ალმაშფოთებელს სურათსაო“.

კრებამ გადასწყვიტა ამ ბოროტების შესამცირებლად (თუ სულ აღმოსაფხვრელად არა) წიგნების გავრცელება, სახალხო ყრილობაზე ავი სენის შესახებ მსჯელობა. გადაწყვიტა აგრეთვე აიძულოს მთავრობა განსაკუთრებული კანონი გამოსცეს ავის სენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ავი სენი ვრცელდება პროსტიტუციის (როსკიპობის) წყალობით. პროსტიტუცია-კი ქონებრივად მეტის-მეტი სიღარიბისა და უმუშევრობისაგანაა გამოწვეული. მაშასადამე, საჭიროა მუშების (ქალებისაც) უმუშევრობის დროს დაზღვევაო. არსებულ კანონის ძალით, გერმანიაში მუშების დამხმარე კასსას აღკრძალული აქვს იმათი დახმარება, რომლებიც ავის სენით არიან ავად. ამით სჯიან არა მარტო ავადმყოფს, არამედ იმასაც, ვინც მასთან იჭერს კავშირს.

„საშინელი სენი“ მოდებულია არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ დედა-მიწის ზურგზე. ამისათვის საჭიროა თვითონ საზოგადოებამ იდვას თავს ამ სენის აღმოფხვრა, ან-და მისი საზარელის სურათის შესუსტება. ნურავის ნუ სცხვენიან ამ სენის შესახებ ლაპარაკისა, საჭიროა დაფარულ სენს აშკარად, გულახდით და საქვეყნოდ ვებრძოლოთ, თუ არ გვინდა ჩვენის თავის განადგურება და დაღუპვაო.

—

პარიჟის უნივერსიტეტი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). მორის კრუაზე ერთსა და იმავე დროს სორბონშიაც ჰკითხულობს ლექციებს ბერძნულ ლიტერატურიდგან და College de France-შიაც. დიდი ხანია, კრუაზე არჩევს, სწავლობს და ხსნის საბერძნეთის დიდებულ მოაზრეთა და პოეტების ნაწარმოებსა და თხზულებებს. წელს College de France-ში მორის კრუაზემ პირველ ლექციებში გაარჩია პლატონის „რესპუბლიკის“ პირველი წიგნი და თანამედროვე საზოგადოება პლატონისა სავსებით დაგვისურათა. სორბონში. მორის კრუაზე პერიკლის დროის ატტიკის ცივილიზაციის შესახებ კითხულობს კურსებს. ამგვარად, კრუაზე წელს ყველაზედ საინტერესო და შესანიშნავს ხანას ეხება საბერძნეთის ცხოვრებისას და, ვინ იცის, იქნება ყველაზედ უბრწყინვალესს ხანასაც კაცობრიობის ისტორიისას. და მართალი რომ ვსთქვათ, კაცობრიობის ისტორიაში არ მოიძებნება ისეთი ხანა, როცა ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, მეცნიერება და პოლიტიკა ისე აყვავებულიყოს, როგორც ეს საბერძნეთში მოხდა. ნუ-თუ შესანიშნავად არ უნდა ჩაითვალოს ის დრო, როცა ადამიანის გონების განვითარებამ უმაღლესს წერტილს მიაღწია, როცა დიდებული ფილოსოფოსები და მოაზრენი იმავე დროს დიდებული მამულიშვილები და მებრძოლნი იყვნენ!? დიაღ, საბერძნეთის ეს დრო ბრწყინვალე განვითარების ხანაა, რომელიც მუდამ კაცობრიობის გზის მაჩვენებელი იყო და არის დღესაც, დღეს, როცა თავი მოგვწონს და ვამაყობთ კიდეც განათლებითა და კულტურით; დღესაც არ დაუკარგავს საბერძნეთის კულტურას თავისი მნიშვნელობა და ძალა. და აი, ამ ბრწყინვალე საუკუნის მკვლევარი ღირსეულად ბრძანდება მორის კრუაზე.

პირველ უოვლისა თქვენს ყურადღებას იპყრობს მორისის სადა და უბრალო ლაპარაკი: არკვევს და ჰხსნის თავისს საგანს უბრალოდ და მარტივად. რამდენიც დრო გადის, იმდენად უფრო ცდილობ ერთი სიტყვაც არ გამოგრჩეს მოუსმენელი. ლექტორიც ცდილობს მაყურებელს თვალწინ წარმოუდგინოს სრული სურათი დიდებულ ხალხის დიდებული ეპოქისა, და ასე გგონია, ვითომც თითონ პლატონის ლაპარაკს უსმენდე და არა კრუაზესას. კრუაზე ძლიერ ნათლად და გარკვევით კითხულობს თავისს ლექციებს—როცა უსმენ კრუაზეს უბრალოსა და ნათელ სიტყვას, ცდილობ ერთბაშად შეითვისო, გაიგო და მიხვდე მისს აზრს და შეხედულობას. თქვენთვის ნაცნობი ხდებიან აგრეთვე ისინი, რომლებსაც თავის დღეში არ იცნობდით, და ითვისებთ არა მარტო შინაარსს ნაწარმოებისას, არამედ ფორმას, გარეგანი მხარე და ენაც გათვალისწინებულია თქვენთვის. ენა, რომელსაც ასე უკანონოდ მკვდარს უწოდებენ, მეტის მეტად ცხოველმყოფელია, მეტადრე როცა კრუაზეს უსმენ და უყურებ. განა ბერძნული ენა, რომელზედაც განითქვეს სახელი უდიდებულესმა პოეტებმა, მჭერმეტყველთა და ფილოსოფოსებმა, განა ასეთი ენა მკვდარად უნდა ჩაითვალოს? საჭიროა კრუაზეს მოუსმინო, რომ გაიგო მეტად და აღმაღლო ბერძნული ენა ყველა სხვა ენებთან შედარებით. მას შესამჩნევად აქვს შესწავლილი ბერძნული ენა, რაიც ნებას აძლევს კრუაზეს ზედმიწევნით შეისწავლოს ძეგლები და გუჯრები ანტიკური კულტურისა და დაუხლოვდეს თითონ საბერძნეთის ხალხის გონებრივს მხარეს—ლიტერატურის გაცნობა და შესწავლა კლასიკურის ლიტერატურისა არის გაცნობა და შესწავლა იმ გმირთა სულის კვეთების, რომელიც შიგ არის ჩაქსოვილი. მორის კრუაზე შეუდარებელის ხელოვნებით გვიხატავს ამ გმირთა სურათებს, რაიც უმთავრეს ღირსებად უნდა ჩაითვალოს ლექტორისა. კრუაზეს ტრადიცია და ცოდნა საგნის ერთი ღირსებით განსხვავდება პუასიესა და პარისის ცოდნათაგან: პირველის ლაპარაკთან ერთად გესმის ბაასი და მსჯელობა თითონ საბერძნეთის ხალხისა, ასე გგონია, საბერძნეთის მაშინდელს დროში დავიბადეო. მაგრამ როცა სამივე პროფესორს, სამსვე ფილოლოგოსებს ერთმანეთსდარებ, არ იცი ვის მისცე უპირატესობა, სამივე ერთმანეთზე უკეთესები არიან, სამივე პატიოსნად, სინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ვ. ხუდადოვი.

ბოსტანი და ბოსტნეულობა

I. მცენარე, ჰაერი და მიწა.

მეურნეს მაშინ შეუძლიან რიგიანი მეურნეობა, და სხვა-და-სხვა მეურნეობის შემაფერხებელ მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლა, როდესაც შეისწავლის მცენარესა და ცხოველებს და იმ გარემოებათ, რომელთა შორის ჩნდება, იზრდება და კვდება მოშინაურებული მცენარე და სამეურნეო ცხოველი,—მიწას, წყალსა და ჰაერს. მცენარენი, ცხოველნი, წყალი, ჰაერი და მიწა ისეთნი ქმნილებანი არიან, ისეთს საინტერესო საგნებს წარმოადგენენ, რომ მათ შესახებ მრავალი წიგნი დაწერილა, და მათის შესწავლით მრავალს მეცნიერს სახელი მოუხვეჭია.

როდესაც ამ საგნებზედ შემდგარის ლიტერატურით იქადის თავსა დღეს ყველა განათლებული ერი, როდესაც ამ საგნების შესწავლაზედ არის დამყარებული მთელი მეურნეობა, როდესაც თვით მეურნეობა შეიქმნა ერთად-ერთ წყაროდ საქართველოს კეთილ დღეობისა, ჩვენ ერთი წიგნაკიც არ მოგვეპოვება ამ უუსაჭიროესს ელემენტების შესახებ, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ გავისარჯენით, უცხო ენებიდგან მაინც გადაგვეთარგმნა რამდენიმე თხზულება. ზოგი თავს იმართლებს: „ტერმინები არა გვაქვსო“; „ზოგი—ამისთანა წიგნების მოთხოვნილება არ არისო“ ზოგი—„ძნელიაო, ან დრო არა გვაქვსო“. არც ერთსა, არც მეორესა და არც მესამე მიზეზს იმასთან ხელი არა აქვს, ვისაც ჰსურს მუშაობა. სურვილი რომ იყოს, ნუ თუ ტერმინებს ვერ მოვძებნით, მოთხოვნილებას ვერ გამოვიწვევთ, ან დღეში ნახევარ საათს ვერ მოვიცლით სათარგმნელად?

ძალიან ძნელია და არც იმდენად სასარგებლო რიგიანი სამეურნეო წიგნების გავრცელება და მათი კითხვა, როდესაც ელემენტარული ცოდნა არა გვაქვს მცენარეებისა და ცხოველებისა. დაიმედებულნი, რომ მალე ჩვენც ვეღირსებით ისეთს მშრომლებს, რომელნიც შესძენენ ჩვენს ლიტერატურას ხსენებულს ნათარგმნებს, ჩვენ აქ ვიტყვით მხოლოდ ორიოდე სიტყვას იმის შესახებ თუ, რას წარმოადგენს მცენარე. ეს ანაბანა საჭირო არის იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რა პირობანი ხელს უწყობენ მცენარის რიგიანს ზრდასა და გამრავლებას.

ქიმიურის აგებულობით მცენარე დიდად არ განირჩევა ცხოველისაგან. უმეტეს ნაწილს მცენარისას შეადგენს წყალი. გამხმარ ტანში, რომელსაც მოშორებული აქვს წყალი *), იმყოფება ორნაირი ნივთიერება: ერთი, რომელიც ადვილად იწვება ცეცხლში და იფანტება ჰაერში (ორგანული ნივთიერება) და მეორე, რომელიც დაწვის შემდეგ ნაცრად რჩება (მინერალური, ან არა-ორგანიული ნივთიერება) ორგანიულ ნივთიერებას შეადგენს ოთხი ელემენტი: მჟავ-დედა, წყალ-დედა, ნახშირ დედა და აზოტი. ორგანიული ნივთიერების ელემენტები შედის მცენარეში ფურცლებისა და ძირების საშუალებით, როგორც გაზი ან როგორც სითხე. მცენარეში ისინი სხვა-და-სხვა გარემოების ზედ მოქმედებით ქიმიურად შეერთდებიან და შეადგენენ მრავალნაირ ნივთიერებას—ქონს, ზეთს, სახამებელს, შაქარს, სიმჟავეს და სხვ., რომელნიც ვრცელდებიან მცენარის სხვა-და-სხვა ნაწილებში.

ამნაირად ზემოხსენებული ელემენტები შეადგენენ მოუცილებელ საჭიროებას მცენარისათვის. ეს ელემენტები რომ არ იყოს, მცენარეც ვერ გაჩნდება, და მაშასადამე ვერც ის ცხოველები გაჩნდებიან, რომელნიც მცენარეებით იკვებებიან. მცენარის მომზადებული ორგანიული ნივთიერებანი საზრდოა ცხოველისა, რომელსაც არ შეუძლიან თავის სხეულში თითონ შეჰქმნას ორგანიული ნივთიერება, თუ არ გამოიყენა მცენარის ორგანიული ნივთიერება, ამიტომაც ცხოველის და მცენარის სხეულში თითქმის ერთნაირი ორგანიული ნივთიერებანი არის. ასეთს მოუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ის ნივთიერებანი, რომელნიც მცენარის დაწვის შემდეგ ნაცრად იქცევიან.

მინერალურს ნივთიერებას მცენარე წვრილ ძაფის მსგავსს ფესვებით, სწოვს მიწიდგან; ეს ნივთიერებანი მიწაში უსათუოდ წყალში გაშლილი, დამდნარი უნდა იყვნენ, თორემ მცენარე ვერ შეითვისებს. მცენარის ზრდა და ნაყოფის გამოღება შეუძლებელია უმინერალო ნივთიერებოდ, მაშასადამე არც ცხოველების სხეულში იქნებოდნენ ეს ნივთიერებანი უმცენაროდ. ამისათვის მინერალური და ორგანული ნივთიერებანი შეადგენენ მიუცილებელ საკვებ ნივთიერებას მცენარეებთათვის. მცენარე ორგანულს ნივთირებას იღებს ჰაერიდგან და მიწიდგან, მინერალურს-კი მხოლოდ მიწიდგან, თუ მიწაში საკვები ნივთიერებანი მაგარია, და არა წყალში გაშლილი,—მცენარე ვერ იხეირებს, მალე მოკვდება, ამიტომაც გამოგვალეული მიწა ცუდი ბინაა მცენარის ფესვებისათვის.

მიწის წყალს, და შიგ გაშლილს მინერალურ საკვებ ნივთიერებას მცენარე სწოვს ძაფის მსგავს წვრილ-წვრილის ფესვებით და არა მსხვილ ძირებით, რომელიც მხოლოდ მცენარეს ამაგრებს მიწაზე. მსხვილი ძირები მცენირეს რომ ნახევარი, ან მეტი ან ნაკლები, შევაჭრათ, ამის მაგიერ ჩნდება მრავალი წვრილი ფესვები. ფესვებიდგან წყალი და ნივთიერებანი ერთად ადის ზეამავალ წვრილ მილში, აქედგან ადის ფოთლებში, საიდგანაც ზედმეტი წყალი იფანტება ჰაერში. დანარჩენი წყალი და საკვები ნივთიერებანი ფოთლებში სხვა-და-სხვა მიზეზების ზედ გავლენით მზადდება ისე, რომ მცენარეს შეეძლოს მისი მოხმარება, როგორც საზრდო. მომზადებული საკვები მასალა გადადის ქვე-ჩამავალ მილში, საიდგანაც მილები სიგანეზედ იფანტება და ამით საკვები ნივთიერება ურიგდება მცენარის ყველა ნაწილებს. ასე რომ, ფოთლები თითქო სამზარეულოაო, სადაც მზადდება საზრდო.

ფოთლები ფილტვების მაგივრობასაც ასრულებენ მცენარისათვის: მცენარე, სხვათა შორის, ფოთლებითაც სუნთქავს: ცუდს ჰაერს უშვებს ფოთლებიდგან და ფოთლებშივე ჩასდის წმინდა ჰაერი. ფოთლები, როგორც ზემოდ ვთქვით, პირის მაგიერობასაც ასრულებენ: ჰაერიდგან იღებენ ნახშირ-დედის სიმჟავეს, რომელიც სულდგმულისთვის მავნებელია და სულთ-ხუთვის მომგვრელი. ნახშირ-დედის სიმჟავე წარმოადგენს ქიმიურად შეერთებულ ნახშირ-დედას და მჟავ-დედას.

ფოთლები დღისით ამ სიმჟავეს ჰყოფენ ნაწილ-ნაწილად; თითონ ითვისებენ ნახშირ-დედას, რომელიც მცენარისათვის საჭირო არის ორგანიულ საკვებ ნივთიერების მოსამზადებლად, და მჟავ-დედას სტოვებენ; მჟავ-დედა-კი სულდგმულისათვის მოუცილებელი საჭიროებაა, რადგანაც უმისოდ სუნთქვა არ შეიძლება. ღამე მცენარე ასე აღარ მოქმედებს, რადგანაც მზის სინათლე აღარ არის; ამ დროს მცენარე ფოთლებით მხოლოდ სუნთქავს და არა იკვებება, ამიტომაც ღამე საწოლ ოთახში მცენარე ადამიანისთვის მავნებელია, დღისით-კი ძალიან მარგებელია, მეტადრე იქ, სადაც ბევრი ხალხი გროვდება.

ჰაერი წარმოადგენს მეხანიკურად შეერთებულ მჟავ-დედას, აზოტს, ცოტაოდენ ნახშირ-დედის სიმჟავეს, ამონიაკს, აზოტის სიმჟავეს და წყლის ორთქლს. როდესაც ჰაერში ცივდება, ორთქლი წყლად იქცევა და ცვარად მიწაზე წვიმად, სეტყვად, ნამად და თოვლად ჩამოდის. [illegible] წყალი ითვისებს მიწიდან [illegible] და ნახშირ-დედის და აზოტის სიმჟავეს [illegible] ნახშირ-დედის სიმჟავე და ამონიაკი და მცენარის ფესვებით ითვისება, მცენარეც იღებს ორგანიულ საკვებ ნივთიერებების მასალას: აზოტს, მჟავ-დედას და ნახშირ-დედას. ამ ელემენტებს მცენარე ფოთლებიდგანაც ითვისებს.

ნ. [illegible].

(შემდეგი იქნება).

---

*) მცენარე რომ ას გრადუსიან სითბოში შევინახოთ წყალი თითქმის სულ მოშორდება.

ნარევი

„Каспій“-ში დაიწყო [illegible] ფელეტონებად ამ გამოჩენილ [illegible] ა. [illegible] წერილისა „როგორ განიდა ილიამ? და რა დამოკიდებულებაა ილიამსა და ქრისტიანობა—ებრაელობასთან“—

მოვართვით.

კნ. თამარ. ვაი ჩემს გაგონებასა! რა დაუშლის სურვილის ასრულებასა. მე სნეული და უძლური ადამიანი ლოგინად ჩავარდნილი ვარ, რა პასუხს გავცემ? და ჩემი ერთად-ერთი შვილი—კი, [illegible] ქუჩაზე შეიშალა... რაღა თქმა უნდა, რომ ის უჯიშო და [illegible] ბზუილა იმ ვაჟარს [illegible] ყველაფერ ჩვენს ქონებას.

ბესარიონ (რომელიც სარკეში იხედებოდა). ქალბატონო, ეგერ თქვენი შვილი აქეთ მოჰყავთ. ბზუილა და ის ვაჟარიც თან ახლავს, გული გამაგრეთ, ქალბატონო.

გამოსვლა II.

(იგინივე და დღენაკლულა, ბზუილა, ვაჟარა და სოფლის პრისტავი).

ბზუილა. აი, კნეინა, თქვენი კანონიერი შვილი მოგგვარეთ, ექიმების რჩევით, სოფლის ჰაერით უნდა იწამლოს თავი.

კნ. თამარ. მოდი, შვილო, მოდი ჩამეკარ გულში.

დღენაკლულა (თავზე ბერეს ქუდი ჰხურავს, შიგ კალამი აქვს გარჭობილი [illegible].—თითქოს იმას ელის). დედავ!.. მშობელო!.. ([illegible]). არა, შენ ჩემი მშობელი არა ხარ!.. წადი... წადი მონასტერში! მე ჰამლეტი ვარ!.. მთელი ჩემი [illegible], ვინ არის მამა-ჩემი?

კნ. თამარ (გულ მოკლული). თამაზ საქართველოძე, შვილო!

დღენაკლულა. არა! სტყუი, სიცრუვეა! მამაჩემი ერთი კაცი კი არა—მთელი კაცობრიობა არის! ბედნიერია ის, ვინც ამას შეიგნებს. გესმისთ, მე არა მყავს მშობელი, მე არა მაქვს სამშობლო. მე არავის გიცნობთ. ერთი მე ვარ და ერთი კაცობრიობა.

კნ. თამარ. შვილო, გონს მოდი. რაებს ამბობ, დედა გენაცვალოს?!

ბზუილა. ნუ შესწუხდებით, კნეინავ. სოფლის ჰაერზე უეჭველად შეიქმნება. თუმცა ეხლა თქვენი მამული სრული ჩემი საკუთრებაა, მაგრამ თქვენს შვილსაც და თქვენც ნებას გაძლევთ, სანამ ცოცხალი ხართ, ამ სახლში იდგეთ. ეს პირობა ამ ვაჟარამაც (უჩვენებს ვაჟარას) იცის და, თუმცა დღეის იქით ეგ არის მემკვიდრე თქვენი მამულისა, რადგან მე მაგას მივყიდე ყველაფერი, მაგრამ თქვენ აქედან ჯერ ვერავინ აგყრით.

კნ. თამარ. ეს რა მესმის, შვილო? მართალია?

დღენაკლულა. მართალია, დედა, მართალი. მე კერძო საკუთრების პრინციპის წინააღმდეგი ვარ. ყველაფერი კაცობრიობისა არის. რადგან ბზუილა მომხრეა საკუთრებისა და ამასთანავე [illegible], სულ ამას დავუტოვე [illegible] ნოტარიუსის [illegible]. [illegible] ვარ!.. ხალხო და ჯამაათო, [illegible] რომ ტყუილად ნუ ეარშიყება მზეს, რადგან.. დედა-მიწა ბრუნავს. მაინც ბრუნავს... ხა-ხა-ხა! (ტანისამოსს შემოიხევს და გავარდება გარეთ).

კნ. თამარ. ვაი, მიშველეთ, გამცარცვეს! (გული წაუვა).

ბზუილა (ვაჟარს). აბა, ფული მე ჩამაბარე და მამული შენ ჩაიბარე.

(ბზუილა ფულს მიიღებს და ქაღალდებს გაუცვლის ვაჟარს, სუდის პრისტავი ბეჭედს დაჰკრავს. ბესარიონ [illegible]).

ვაჟარა (ბესარიონს). რა პირი დაგიღია? ვერა მხედავ მამულების ახალ პატრონს?! რას იტყვი,—არ ვარგივარ თუ!

ბესარიონ. რა უნდა ვთქვა?—ბედაურები დაიხოცნენ,—ვირებს დარჩათ მოედანი. ვაი საქართველოვ,—ვინ დაგეპატრონა! [illegible] ვაი ამის მომსწრეს! აქ რაღა მინდა? ([illegible]).

ს უ რ ა თ ი.

ვაჟარა რომ ბესარიონს [illegible], ბზუილა მიეპარება ვაჟარას და ჯიბიდან ხელსახოცს გამოაცლის. [illegible] თამარ გულ-წასულია, [illegible] სუდის პრისტავი [illegible] და საშინლად დაამთქნარებს.

ფარდა ნელ-ნელა ეშვება.

დასასრული.

—ბაზი—

роисхожденіе Ислама и его отноше- къ христіанству и еврейству.

ერილს ეპიგრაფად აქვს, გიოტეს გარდა ყვები კარლეილისა: „ასეთია არსება ისმისა; ასეთივეა არსება ქრისტეანობისაცა... სტეანობა რომ არ ყოფილიყო, არც ისმი იქმნებოდა“.

მართლა ასეც იყო.

იესო ქრისტეს მაღალი მოძღვრება იმდენად არყვნეს ზოგიერთმა მისმა უგუნურად მიმდერმა მოწაფეებმა, მეტადრე არაბეთში, რომ საჭირო შეიქმნა გამოჩენა ახალის რეფორმატორისა. ასეთ რეფორმატორად მოევლინა არაეთს მაჰმადი. მაჰმადმა თავისებურად გაიგო მოძღვრება ქრისტესი და მის მიერ დაარსებუდი სარწმუნოება იყო თავისებური პროტესტი მ დამახინჯებისა, რომელშიაც ჩავარდა ქრისტეანობა არაბეთს. ყორანში წამ და უწუმ სწერია: მოველ ქვეყანად, რათა აღვადგინო ჭეშმარიტი მოძღვრება იესოსი.

მ აზრს ასაბუთებს ავტორი შესანიშნა- ორიენტილისტის მაქს მიულერის სიტყვე-.

გვა ხანით,-ამბობს მაქს მიულერი,—და ქრისტეანენი გაოცებით გაიგებენ, რომ მაჰმადი იესოს ერთ-ერთი მიმდევარი და თანამოღვაწე იყო, ხოლო მაჰმადიანობა ერთ-ერთი ექტა (მწვალებლობა) ქრისტეანობისა; და მამინ მოსლემანებიცა და ქრისტეანენიც ერთნაირად გაიკვირვებენ იმ დაუსრულებელ სარწმუნოებრივ ბრძოლისა და მძულვარების ამბავს, რომელიც გამოიარა და განიცადა მათმა ისტორიამ.

ასეთისავე აზრისანი არიან თითქმის ამ ნის შესახებ, ევროპიულ ორიენტაისტებ და, რუსეთის მოაზრენიცა, შესანიშნავი ენიერი და ფილოსოფოსი ვლ. სოლოვიო- და პროფ. პეტროვი.

საინტერესოა ზოგიერთი ცნობა, რომეც მოჰყავს ბ-ნს ა. ალაევს. სულ დედამის ზურგზე 1.600,000,000 ადამიანი ოვრობს და მეხუთედი ნაწილი მაჰმადიანი არიანო. ინდოეთის წარმართთა შორის ველ წლის განმავლობაში მაჰმადიანობას ებს 6 მილიონი, ხოლო ქრისტეანობას—0 კაციო. რუსეთში მაჰმადიანთა რიცხვი მილიონამდეა, თითქმის მეოთხედია მთლად ოვრებლებისაო.

წერილები
რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

I

უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი ვენ პატივცემულ გაზეთში ამ რამდენიმე რიქონს, რითაც დიდად დამავალებთ. საზღვარ გარედ წასვლის წინ ვალად ვრაცხ რმესი მადლობა გადავუხადო ქართველ საზოგადოებას, რომელმაც ასეთი გულმტკივნეულობა გამოიჩინა და მომცა შეძლება თა- განვიკურნო ჩემი სენისაგან. ღმერთსა ხოვ მომეცეს შეძლება, რომ დაბრუნებისანავე გავაორკეცო ჩემი საზოგადოებისას სამსახური, რაც ჩემს ზნეობრივ მოვალეობათა ვსთვლი. უმორჩილესად ვსთხოვ ა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ჩემი წერილი.

თული სცენის მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

II

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ ვენს გაზეთში ამ ჩვენ საერთო თხოვნას: თაისის ქართული დრამატიული დასი უმორესად სთხოვს ყველას, ვინც ინებებს შემბის ხელი გაუწვდინოს საზღვარ-გარედ გზავრებულ სამკურნალოდ ავადმყოფ არტ ვლ. ალექსი-მესხიშვილს, მიმართონ ვიანთი წვლილით ადგილობრივ რედაქებს ან ივანე ისააკის ძეს პურადოვს. ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ნი თხოვნა.

ქუთაისის ქართული დრამატიული დასი.

III.

23 იანვარს ამა წლისას, № 18 „Тиф. Ли-ოკъ“-ში, ბ-ნ ზოილის წერილში წავიკითხე რკი ზდანოვიჩის შესახებ, ვითომც მისთვის . მიხაილოვს მიენიჭებინოს ქუთაისის წყლის ის საზოგადოების მმართველობის თავმჯდომეობა. რადგანაც ეს ამბავი სრულს ჭეშმარიბას მოკლებულია, მე, როგორც წევრი ქუთაის წყლის მილის საზოგადოების გამგეობისა, ად ვრაცხ, აღვადგინო საქმის ნამდვილი გამოება. ბ-ნ მიხაილოვს ნება არა ჰქონდა, თათავად მიეცა რაიმე თანამდებობა ამ დაწესებაში; ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ იმ საზოგადოების წევრთა, რომელნიც ითვლებიან პაის რონებად. ეს საქმეც სწორედ ასე მოხდა: შარ, 1902 წ. მარტის 10-ს, ტფილისში შეს საზოგადო კრება ზემოხსენებულ საზოგადოების და ამ კრებაზედ ერთ-ხმად იყო არჩეული თავმჯდომარედ ბ-ნი ზდანოვიჩი; თუმცა თითონ ამ დროს ტფილისში არ იმყოფებოდა.

როსებ ამირეჯიბი.

IV

„ივერიის“ № 21-ში თელავიდგან სწერს კორესპონდენტი, „ნადიკვრის ეკალი“: გავლილ ზაფხულს ერთი საქველმოქმედო წარმოდგენა გაიმართა, რათა ერთი მასწავლებელი გაეგზავნათ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც შეისწავლიდა პირუტყვების მკურნალობას“, მაგრამ ის მასწავლებელი ისევ მასწავლებლად დარჩენილა და ფული-კი შემოხარჯვიათ. ის მასწავლებელი, რომელზედაც ლაპარაკობს ბ. კორესპონდენტი, გახლავართ მე,ქვემორე ხელის მომწერი, უმორჩილესად ვთხოვ ბ-ნ კორესპონდენტს გვაცნობოს, ვის შემოხარჯვია ის ფული.—თელავის სახალხო წარმოდგენების სექციის წევრებს, თუ მე.

ერმალოზ სირბილაძე.

„ივერიის“ ფოსტა:

ნ. ც—ძეს. თქვენი ლექსი ,,საწყალს ვუშველოთ'' არ დაიბეჭდება.

დ. მ—ს. თქვენი ზღაპარი ,,ჯოჯოხეთის დედაკაცი'' არ დაიბეჭდება.

ასოთ-ამწყობთაგანს. თქვენი წერილი ,,ბეჭდვითის სიტყვის 200 წლის იუბილეის გამო'' არ დაიბეჭდება.

დეპეშა
4 თებერვალს.

მოსკოვი. ეწყობა ქალთა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება.

სარატოვი. ქარბუქია. მეორე დღეა შეჩერებულია მატარებელთა მოძრაობა.

ხარკოვი. ბანკის საქმეა. მოწმე ტოლტმანი იმალება ჩვენების შესახებ ანგარიშებისა საადგილმამულო ბანკისა გოლუბევის რევიზიის შემდეგ. ამ უკანასკნელით ზარალი იყო 2 მილიონი, გარდა დანაკარგისა სავაჭრო ბანკში მიმავალს ანგერიშებზე 2 მილიონისა. გარდა 1.7000,000 მიმავალი კუპონების გასასტუმრებლად, ტირაჟისა და გირავნობის ფურცლების გამოსასყიდად საჭირო იყო 9½ მილიონი, ნაღდი კი იყო 1.600,000.

სოფია. გენერალი ცონჩევი დაასადგურეს დრენოვს. შეპყრობილი მაკედონელები პროვინციებში დაასახლეს. მაკედონიის მიტინგი მეპროტესტეთა სოფიაში მშვიდობიანად გათავდა. მაკედონელთ კედლებზე გააკრეს განცხადებანი და მოიწვევენ დეპუტატებს პროტესტი გამოაცხადონ წინააღმდეგ უკანონოდ დატუსაღებისა. რუსის სადიპლომატო აგენტი ბახმეტიევი მოსვლის უმალვე წივიდა სასახლეს სადარბაზოდ. ხვალისთვის საერო კრებაში შეტანილია კითხვა დეპუტატის ტანკევისა, შესახებ მაკედონელთა კომიტეტის დახურვისა და წინამძღოლთა შეპყრობისა.

სტამბოლი. რუსისა და ავსტრია-უნგრეთის მთავრობათა შორის მოხდა შეთანხმება მათ აქაურ ელჩების მიერ მოპოებულ ღონისძიებათა ევროპის ვილაიეტების მმართველობის გაუმჯობესობის შესახებ. ორივე ელჩი მოელიან განკარგულებას, რომ ამის გამო შესაფერი წარდგენილობა გადასცენ პორტას.

ფეცი. სულთნის ჯარი დაეცა ხაინის კაბილებს, ტახტის მაძიებლის მომხრეთ, მაგრამ მეამბოხეთ უკუაქციეს იგინი. სულთნის ჯარი ფრიად დაზარალდა.

რომი. დეპუტატის ჩერმენის კითხვის პასუხად ბაჩელლიმ პალატაში სთქვა: „დამზღორფი თვისის მოგზაურობის დროს იმავ აზრით იყო გამსჭვალული, როგორითაც იტალია და ავსტრია-უნგრეთი, ამიტომ იტალიას შეძლება ჰქონდა სიხარულით მიეღო იგიო.

სტამბოლი. ხმები ისმის, სპეციალური კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სესხის უნიფიკაციის საქმე, თავისს გადაწყვეტილება ოთხშაბათს გამოაცხადებს.

პეტერბურგი. „კანონდ. კრებულში“ გამოცხადებულია სემიპალატისკში საოსტატო სემინარიის დაარსების ამბავი; გამოცხადებულია აგრეთვე მმართველობა ასტრახანისა და სტავროპოლის გუბერნიაში მომთაბარე ხალხისა გადავიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაშიო.

5 თებერვალი

პეტერბურგი. უმაღლესად დაარსებულმა საბჭომ მოიწონა აზრი გლეხთა სანადელო მიწების შესახებ დებულების გაუმჯობესება; მოწონებულ იქმნა აგრეთვე ის აზრი, რომ დახმარება აღმოეჩინოთ გლეხთ და მათი მიწები სისწორით დაიგეგმოს.

პუერტო-კაბელლო. ალყის ახსნის შემდეგ გემები, რომლებიც ხელთ ჩაიგდეს, გადაეცა ამერიკის ვიცე-კონსულს

მესსინა. 4 თებერვალს მიწა ინძრა. ზარალი არა ყოფილა-რა.

პეტერბურგი. გამოცხადებულია რესკრიპტი ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისა ნ. ა. ლამზდორფის სახელობაზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 4 თებერვალს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	46,05
პარიჟში 100 ფრანკში	37,42½
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅛ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	458¼ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	367½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	306¾ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	89⅞ წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	90¾ წვ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91 წვ. გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	406 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	203 წვ. გაყ.

სასამართლოს შესახები ცნობანი·

8 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1) დავა ვ. კალანდარაშვილისა და ვ. კარელიშვილისა.
2) დავა ი. ოთარიძისა და ი. მღებროვისა.
3) თ-დ პ. დადიანისა, ლ. აფაკიძისა და ტოლორდავებისა.
4) დავა ე. კოლუაშვილისა და ლ. კაპანაძისა.
5) დავა ბ. ტოლორდავასი და თ. პ. დადიანისა.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

წმიდა ნინოს ზავედენიაში რვა კლას დამთავრებული ქალი
☛ ამზადებს გავშვებს ☚
ყველა საგანში **გიმნაზიისათვის.**
მსურველთ სთხოვს მიჰმართონ ნაშუადღევის 2 საათიდგან ანასტასიის ქუჩაზედ, № 11 (Анастасіевская, № 11), ეზოდგან მარცხენა კიბე.
(5—29—1)

„GRAND PRIX“ PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Парфюмерія
“Рояль—Ралле“

ლაბარატორია
რის გუტმანისა
მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი
(ქიმიკოსის რის გუტმანისა)
ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენევულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოური ფხვნილი მწერთა მოსაგერებლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ჰია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსს რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) გან. კურნავს ბეჰერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, საათფთიაქ. საქონვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს საათფთიაქო მაღაზიაში.
(40—6.—5)

ახალი გამოცემანი
წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა,** თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი,** ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პარტრეტით დ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი,** მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა. 6—6.

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი
„ჩვენს დედებს“
პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.
ფასი 25 კაპ.
ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს. (5—6.—5)

ამერიკულ ვაზის სანერგეში
კლო-ქზურული
დაიწყო გასყიდვა დამყნილ ფესვ-გაკეთებულ ვაზისა, აგრეთვე საუკეთესო ადგილობრივ ბორდოსა, ბურგუნდიისა, შამპანურისა, საფერავისა, რეინისა, ყოველ-დღიურ სახმარებელ ღვინის მოსწავის და სხვა ჯიშის ვაზის რქისა. **მრავალად არის ასარჩევი** რქა და ფესვ-გაკეთებული, უკვე კურძნის მომსხმელი გიბრიდები (აგრეთვე მათი თესლი) და ყოველ-გვარი ამერიკულ ვაზისა სამამულე და დასამყნელად (**550** ჯიშის რქა და ვაზები მზად სანერგეში). რუპესტრისი სიგრძით 22 ვერშ. ⅓ ათასი ღირს 20—24 მანეთად. პრეისკურანტი უფასოდ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: В. Тьебо, Кутаисъ.
(3—30—1)

საბუჰგალტერო კლასები
დაარს. ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.
საბუჰგალტერო კლასებს აზრათ აქვს მისცეს მსურველთ, შედარებით მოკლე დროს განმავლობაში, საკომერციო განათლება, პრაქტიკულისა და თეორიულის მეცადინეობის შემწეობით მოამზადოს **ბუჰგალტრები, კორესპონდენტები, კანტორშჩიკები** და საზოგადოდ მოხელენი სავაჭრო საქმეებისა. კურს დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები.** ხოლო საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი** სამსახურში.
სასწავლებელში მიიღებიან **ორივე სქესისანი,** 15 წლისაზე არა ნაკლებნი. სულ ორი განყოფილებაა: მე 2-ში მიიღებიან ვინც წარმოადგენს საქალაქო სასწავლებლის ან პროგიმნაზიის კურსის დამთავრების მოწმობას, ხოლო პირველში—უმოწმობოთ. სწავლა თითოეულ განყოფილებაში 5 თვეს სწარმოებს საღამოთი—5—9 საათამდე.
ისწავლება შემდეგი საგნები:
ბუჰგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა, [illegible], ტექნოლოგია, სავაჭრო [illegible], კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვექსელის ცოდნა, სავაჭრო კანონები და [illegible] უცხო ენები, სტენოგრაფია.
წლის მოწვეულნი არიან მასწავლებლებად: ინჟ. მ. ი. **ჩინერი** და ს. პ. **ილინი,** იურისტები: ა. ი. **მიქელაძე** და ვ. ფ. **სულხანიშვილი,** მასწავლებელი ი. ი. **ბრონ-ფონ ბრენნერი,** ი. ქ. **კომპლელი,** ი. ა. **სხოპლოვი** და სხვანი.
ფასი მთელის კურსისა პირველ განყოფილებაში 60 მ. მეორეში 75 მ. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. სწავლა დაიწყება 20 იანვარს. ცნობათა მიღება შეიძლება კლასების სადგომში, ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 10—2 საათამდე და სამ. 5—8 საათამდე.
ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა № 88. (10—473—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ. 4 февраля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамизе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.